ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N19

21.02.2023 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 21 თებერვალს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-03230451-03, 14.02.2023წ.),*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე საკითხები,**
   მომხსენებელი - **გიორგი ჩაკვეტაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 142 794,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 774 926,8 ათას ლარს. აქედან 5 000,0 ათასი ლარი გახლავთ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ზრდა არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე, 137 794,2 ათასი ლარი კი გასული წლის ნაშთი, საიდანაც 33 700,5 ათასი ლარი შემოსავლების გადაჭარბებაა, ხოლო 104 000,0 ათასი ლარი გასული წლის აუთვისებელი თანხების რაოდენობა, აქედან 72 000,0 ათასი ლარი გახლავთ მიმდინარე პროექტების თანხები და მათი ასახვა წელს ხდება, 30 000,0 ათასი ლარი კი გახლავთ ეკონომიების შედეგად მიღებული ნაშთი. აღნიშნული თანხები ძირითადად გადანაწილებულია შემდეგ პროგრამებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა გამოიყო 26 900,0 ათასი ლარი, სადაც გათვალისწინებულია 12 000,0 ათასი ლარი ახალი ვაგონების მოდერნიზაციაზე, გზაჯვარედინების და შუქნიშნების მოწყობაზე 5 000,0 ათასი ლარი, 1 000,0 ათასი ლარი გამოყოფილია საგზაო მონიშვნებზე, ხოლო დანარჩენი რეალურად ნაშთის ასახვა გახლავთ; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაზე და ექსპლოატაციაზე გამოყოფილია 32 570,0 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 38 300,0 ათასი ლარით განისაზღვრა; ეკონომიკის განვითარებას 500,0 ათასი ლარი ემატება, რომელიც მოხმარდება ახალ პროექტს, კერძოდ კუს ტბის მიმართულებით ვაკის პარკამდე ველობილიკის მოწყობას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარებას 6 387,0 ათასი ლარი დაემატა; კულტურას, სპორტს და ახალგაზრდობას დაემატა 14 796,0 ათასი ლარი და აქედან სპორტის მიმართულება გახლავთ - სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქცია 652,4 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდება სკეიდ მოედნების მოწყობას, აღნიშნული გახლავთ წინა წლის ნაშთის ასახვა, რათა დასრულდეს აღნიშნული სკეიდ მოედნების სამშენებლო სამუშაოები; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა განსაზღვრულია 12 483,4 ათასი ლარით; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა 210,9 ათასი ლარით; სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა 250,0 ათასი ლარით; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით; ქალაქის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს დაემატა 4 419,0 ათასი ლარი. აქვეა წარმოდგენილი ახალი პროგრამა თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებით გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში პროცენტის დაფარვა, რომელიც გახლავთ 3 250,0 ათასი ლარი. ბიუჯეტს ასევე ემატება საჯარო ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა 500,0 ათასი ლარის ოდენობით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავა - სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით ძირითადად ხდება წინა წლის ნაშთის ასახვა, თუმცა მატება გვაქვს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების პროგრამაში, რაც მოხმარდება ევროპის ახალგაზრდული ბარათის პოპულარიზაციისთვის ელექტრონული

აპლიკაციის შექმნას და საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. მოგეხსენებათ, რომ დასრულდა სკეიდ მოედნების მშენებლობა ორ მისამართზე ვარკეთილში და ლიბანის ქუჩაზე, ასევე მალე ციციშვილის პარკში დაგვემატება ერთი სივრცე.

გიორგი ჩაკვეტაძე - 2023 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს კომისიას ჰქონდა რეკომენდაცია, რომ კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში გაზრდილიყო და ეს ზრდა ბიუჯეტის პირველივე ცვლილებაში დაფიქსირებულიყო, რადგან ინფლაციის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ერთ რაიონზე გამოყოფილი 100,0 ათასი ლარი საკმარისი არ გახლავთ, რაც ისახება ღონისძიებების რაოდენობაზე და ხარისხზე. სასურველია პროგრამაზე გათვალისწინებული იქნას მინიმუმ 150, 0 ათასი ლარი და კომისიის რეკომენდაციის ასახვა შემდეგ ბიუჯეტის ცვლილებაზე მაინც მოხდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას კომუნიკაცია ჰქონდა რაიონულ გამგებლებთან და მაჟორიტარებთან, მათი პოზიციაც ცალსახად თანხვედრაშია. ზოგიერთი გამგეობა ფიქრობს შიდა გადანაწილებით საჭირო თანხების დეფიციტის დაბალანსებას და ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევძლოთ მდგომარეობიდან ოპტიმალური გამოსავლის პოვნა.

ლევან მიქავა - რაიონული გამგეობების მიერ თანხების ათვისების საკითხიც მნიშვნელოვანია. აღნიშნული მიმართულებით, თუ მისი ათვისება კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების კუთხით პირველივე კვარტლებში მოხდება, უფრო მკაფიო იქნება დამატების მოთხოვნის საფუძველი.

გიორგი ჩაკვეტაძე - რთულია გამგეობის მხრიდან 100,0 ათას ლარზე განსაზღვრული პროგრამის სხვა თანხებზე დაგეგმვა, სწორედ ამიტომ გვქონდა რეკომენდაცია ბიუჯეტის შედგენისას მატებასთან დაკავშირებით, რომ ათვისების საკითხი საბაბად არ გამოყენებულიყო. როდესაც გამგეობამ იცის წლის დასაწყისში რამდენი აქვს გამოყოფილი თანხა, შესაბამისად მოახდენს წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების გადანაწილებას.

ავთანდილ ცინცაძე - სასურველია თანხის მატება, რათა გათვალისწინებული იყოს არსებული მდგომარეობა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების კუთხით.

გიორგი ჩაკვეტაძე - რაც შეეხება ბიუჯეტის მატებას, მხოლოდ მისასალმებელია. მთლიანობაში სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ზრდა გვაქვს 13 596,7 ათასი ლარით. ყველა მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა, რაც იყო დაგეგმილი გრძელდება. უახლოეს პერიოდში მოხდება პროგრამის სპორტი უფროსი თაობისთვის წესში გარკვეული ცვლილებების ასახვა, რაც კერძო სექტორის ჩართულობის შესაძლებლობას მოგვცემს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი.

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გიორგი ჩაკვეტაძე - კომისია აქტიურად მუშაობს პროგრამაზე კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (კოდი 08 11) წესის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მისცემს რაიონულ გამგეობებს უფრო მარტივად განკარგონ თანხები და შესაძლებლობა მიეცეთ შიდა კომისიურად მოახდინოს გარკვეული თემატური პროექტების დაფინანსება, როგორც მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს აქვს. მაგალითად გარკვეული სპორტული, თუ ახალგაზრდული აქტივობებისთვის რაიონში ტენდერის გარეშე, პროექტის საფუძველზე შეძლონ დაინტერესებული პირების დაფინანსება, რაც დიდი წახალისება იქნება ადგილობრივი ჯგუფებისთვის. გამგეობას ხშირად მიმართავენ ახალგაზრდული ჯგუფები, სპორტული ა (ა)იპები, თუ ფედერაციები, მაგრამ არ აქვს დაფინანსების მექანიზმი ტენდერის გარეშე, რათქმაუნდა ტენდერი უნდა გამოცხადდეს გამგეობის მიერ ჩასატარებელ აქტივობებზე, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელი გახდება გარკვეული პროექტების ხელშეწყობის ფაქტორის გაჩენა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული წესი წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან არ მოდის და მსგავსი კომისიები არსებობს სოციალური მიმართულებით და ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობებზე. საკითხს, როგორც დავამუშავებთ გამოგიგზავნით და დეტალურად განვიხილოთ.

იგივე ეხება მინი სტადიონების საკითხს, კომისია მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით, მაგრამ საბოლოო სახე გარკვეული მიზეზების გამო ვერ მივიღეთ. აქტიურად ვმუშაობთ დადგენილების პროექტზე, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების მოწყობის მინიმალურ სტანდარტებს და მოვლა-პატრონობის საკითხს, რომლის გათვალისწინება მოხდება ახალი სტადიონის მოწყობისას და ძველის რეაბილიტაციის დროს. წესი მოიცავს ყველა გამგეობაში ერთიანი, მინიმალური სტანდარტის შექმნას, რაც უკეთესი იქნება ჯანმრთელობის, ეკოლოგიისა და სპორტული აქტივობების გაუმჯობესების კუთხით, შემცირდება ცვეთის და დაზიანების ხარჯები. რამდენიმე რაიონი მართლა ახერხებს მაღალი სტანდარტებით მშენებლობას, მაგრამ სასურველია ყველა რაიონმა მინიმალური სტანდარტის დაცვა მოახერხოს, რაც სატენდერო პირობებშიც იქნება გაწერილი.

ყველას კარგად გახსოვთ კომისიის მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი პროექტი ,,სასკოლო ლიგა", რომელიც 2022 წლის შემოდგომიდან განახლდა და სპორტის ოთხ სახეობაში გამართა ჩემპიონატები. მინი ფეხბურთთან ერთად დაემატა რაგბის, ჭადრაკის, ფრენბურთის და ფარიკაობის ჩემპიონატები. 5 ათასზე მეტი მოსწავლე იქნება ჩართული აღნიშნულ ჩემპიონატში, რომელიც 2023 წლის ზაფხულამდე გაგრძელდება. პროექტს კვლავ ესაჭიროება ჩვენი მხარდაჭერა, როგორც საკრებულოსგან, ასევე მერიისგან და სპორტული ფედერაციებისგან, რომ მაღალი

სტანდარტებით და ხარისხის შენარჩუნებით მოხდეს ჩემპიონატების ჩატარება. იგეგმება მთელი აკადემიური წლის მანძილზე გაიმართოს ტურნირები, მინი ფეხბურთში, რაგბში და ფრენბურთში. მხოლოდ მინი ფეხბურთში 700-მდე მატჩი გაიმართება, აღსანიშნავია, რომ ,,სასკოლო ლიგამ" შეიძინა პროფესიული ელემენტი და ფუტსალის მიმართულებით არაერთი ტალანტის აღმოჩენა, განვითარება და ჩართულობა მოხდა საქართველოს ჩემპიონატში. ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ ფუტსალის 19-წლამდელთა ეროვნული ნაკრები, რომლის უდიდესი ნაწილი, 90 პროცენტი სწორედ სასკოლო ლიგის მონაწილეა.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - დაბალი ხარისხის, შეუსაბამო სტანდარტების მქონე მინი სტადიონების მოწყობა, სადაც არაა გათვალისწინებული დრენაჟი, ამორტიზაცია, ხალიჩის სტანდარტი და სხვა ფაქტორი, ზიანს აყენებს მოსარგებლის ჯანმრთელობას, იწვევს სახსრის არასწორ ჩამოყალიბებას და ხარჯი კიდე ცალკე საკითხია.

ნინო კვიტაიშვილი - წესის მიღების შემდეგ სტადიონების მოწყობის მინიმალური სტანდარტი, თუ შეიძლება გავრცელდეს კერძო კლუბებზეც, რადგან საკმაოდ ბევრი ბავშვია სხვადასხვა საფეხბურთო აკადემიაში, კლუბში, თუ საფეხბურთო წრეზე ჩართული. თუ მოხდება ღირებული სტანდარტის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში ჯანმრთელობისთვის უკეთესი იქნება ჩემი აზრით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მოედანს უნდა შეეხოს.

გიორგი ჩაკვეტაძე - ჩვენის მხრივ მუშაობა მიმდინარეობდა ფეხბურთის და კალათბურთის ფედერაციებთან, ამ ეტაპზე იმ სტანდარტთან სრულად დაახლოება ვერ მოხერხდება, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს (UEFA, FIBA) აქვთ, მაგრამ მოხდება არსებული სტანდარტის გაუმჯობესება და მინიმალური პარამეტრების გამოყენების ვალდებულება განისაზღვრება, რომელიც იქნება სავალდებულო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო სტრუქტურებისათვის და რეკომენდაციის ფორმა ექნება კერძო სექტორისთვის. კერძო კლუბებიც ხშირად სახელმწიფო მოედნებზე იჯარით სარგებლობენ. ცალსახად უკეთესი უნდა იყოს კერძო მოედნების ხარისხიც, აუცილებლად ვიმუშავებთ აღნიშნული მიმართულებითაც.

ავთანდილ ცინცაძე - ხარისხიანი მოედნის გაკეთება რამდენიმე ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით ბიუჯეტის ხარჯების კუთხით, როცა მოედანი არაა მაღალი სტანდარტის ხდება მისი ხშირი დაზიანება და იზრდება შეკეთების ხარჯები.

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო მიმდინარე საკითხებზე ინფორმაცია, ასევე გამოთქვა მზაობა შესაბამისი მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშემწყობ პროექტს ,,თბილისის სასკოლო ლიგას".

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე